ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29.29213371**
თარიღი:**03/12/2021**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ საკრებულოს წევრთა

უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად, №49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის N1 დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1.

ცნობილ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება დანართის მიხედვით.

მუხლი 2.

ამ განკარგულების პირველი მუხლის საფუძველზე შეწყვეტილად ჩაითვალოს მე-4 მოწვევის (2017-2021 წლების) საკრებულოს უფლებამოსილება.

მუხლი 3.

განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5.

განკარგულება ძალაშია ხელმომწერისთანავე.

ამირან ვერულაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს უხუცესი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM